

დისტანციური მუშაობის გავლენა დაოჯახებული და მარტოხელა
ქალების ყოველდღიურობაზე

მარიამი ხუბაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ხუბაშვილი



8 თებერვალი, 2022

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება დისტანციური მუშაობის გავლენას დაოჯახებულ და მარტოხელა¹ ქალებზე. კვლევის ძირითადი მიზანია იმის შესწავლა, თუ რა გავლენა იქონია კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში დისტანციურად მუშაობამ (დაოჯახებულ და მარტოხელა) თბილისში მაცხოვრებელ ქალებზე. უფრო კონკრეტულად კი, კვლევის ამოცანებია ამ ორი ჯგუფის გამოცდილებების შესწავლა და მათი შედარება. დეტალური ინფორმაციის მისაღებად და შესასწავლად შეირჩა თვისებრივი კვლევის დიზაინი, კონკრეტულად კი სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. შერჩეული რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემებით გამოვლინდა, რომ 2020 წლის დასაწყისიდან დღემდე, დისტანციურმა მუშაობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც დაოჯახებული, ისე მარტოხელა ქალების ყოველდღიურ რუტინაზე. გამოიკვეთა ცვლილებებიც - თუ საწყის ეტაპზე გარკვეული ტიპის გამოწვევები უფრო მკვეთრად იგრძნობოდა, პანდემიის დაწყებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ რესპონდენტები შედარებით შეეჩვივნენ მუშაობის ახალ ტიპს. შედეგები გვიჩვენებს, რომ მცირეწლოვანი შვილების დედეები ყველაზე მოწყვლადნი აღმოჩნდნენ დისტანციური მუშაობის დროს, განსხვავებით იმ ქალებისგან ვისაც შვილები საერთოდ არ ჰყავთ, ან ჰყავთ ზრდასრული შვილები. ასევე ფიზიკური კეთილდღეობაც გამოწვევა აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვის დედებესთვის, მაშინ როცა კვლევის დანარჩენმა მონაწილეებმა გარკვეულწილად გამოიმუშავეს უნარები ამ პრობლემასთან შესაჭიდებლად. რაც შეეხება მენტალურ კეთილდღეობას, ეს უკანასკნელი პრობლემას წარმოადგენდა გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობისთვის, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანდემიის დროს დისტანციური მუშაობის ფორმატზე გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევების განმაპირობებელი ფაქტორი, ქორწინების სტატუსზე მეტად, გახლდათ დედის როლი და ასევე შვილის ასაკი. მცირეწლოვანი ბავშვების დედებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ დისტანციურად მუშაობა.

¹ ტერმინი მარტოხელა საქართველოში ბევრი მნიშვნელობით გამოიყენება. ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მარტოხელას ვიყენებ, როგორც ინგლისური სიტყვა „single” შესატყვისი. ვგულისხმობ იმ ქალებს, რომლებიც არ არიან დაოჯახებულები და არ ჰყავთ შვილები.

ძირითადი ტერმინები: დისტანციური მუშაობა, დასაქმებული ქალები, ბავშვები, პანდემია, კოვიდ-19, ჰიბრიდული მუშაობა

Abstract

The present Master Thesis deals with the impact of remote work on both married and single women. The main goal of the study is to explore the impact of remote work on married and single women, living in Tbilisi, during the Covid-19 pandemic. More specifically, the objectives of the study are to study and compare the experiences of the latter two groups. Qualitative research, particularly the in-depth interview method, was selected to obtain and study detailed information on the research topic. The participants of the study were selected through the snowball sampling method. As a result of the interviews, it turned out that remote work had a significant impact on both, married and single women since the beginning of 2020. Few changes were also revealed – it turned out that, after almost 2 years, the respondents to some extent got used to challenges that were more common to the beginning of the pandemic. At the same time, it became clearer that mothers of young children were the most vulnerable while working remotely, unlike women who do not have children as well as mothers who have adult children. Additionally, the remote work affected mothers of young children in terms of physical well-being as well, whereas other respondents had somewhat developed skills to cope with this challenge. As for the mental well-being, the latter was a problem for most of the respondents, albeit with varying intensity. Finally, we can conclude that the main determinant of challenges during the transition to the remote working format, more than marital status, was the motherhood and the age of the child – adapting to the remote work was hardest for mothers of little kids.

Key Words: Remote work, employed women, children, pandemic, Covid-19, hybrid work